ოქმი №26

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს

სხდომისა

აბაშა, 2019 წლის 20 აგვისტო

ოქმი №26

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

აბაშა, 2019 წლის 20 აგვისტო

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა მ. კვიტაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: გ. ხოშტარია, გ. კუპრავა, გ. მიგინეიშვილი, კ. კუჭუხიძე, ტ. ხოშტარია, გ. კუცია, რ. ჩაჩავა, ე. ნოდია, ზ. ალასანია, ი. ჭანტურია.

საკრებულოს აპარატის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი აპარატის უფროსი გ. ხურცილავა და საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი იურიდიულ საკითხთა განყოფილების უფროსი ნ. კუპრეიშვილი.

დღის წესრიგი:

1. „აბაშობის“ სახალხო დღესასწაულის თარიღის დადგენის შესახებ განკარგულების პროექტის განხილვის დაწყების თაობაზე.

   მომხს. მ. კვიტაშვილი

2. აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტის განხილვის დაწყების თაობაზე.

   მომხს. მ. კვიტაშვილი

1

მოისმინეს:

„აბაშობის“ სახალხო დღესასწაულის თარიღის დადგენის შესახებ განკარგულების პროექტის განხილვის დაწყების თაობაზე.

მომხს. მ. კვიტაშვილი

მომხსენებელმა მ. კვიტაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო „აბაშობის“ სახალხო დღესასწაულის თარიღის დადგენის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: კ. კუჭუხიძემ, გ. ხოშტარიამ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – „აბაშობის“ სახალხო დღესასწაულის თარიღის დადგენის შესახებ განკარგულების პროექტის განხილვა დაიწყოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ, განათლების და კულტურის საკითხთა კომისიამ (კ. კუჭუხიძე).

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

2

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტის განხილვის დაწყების თაობაზე.

მომხს. მ. კვიტაშვილი

მომხსენებელმა მ. კვიტაშვილმა ბიუროს წევრებს გააცნო აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვეს: გ. კუციამ, გ. ხოშტარიამ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ მიიღო რეკომენდაცია:

საკითხი – აბაშის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ განკარგულების პროექტის განხილვა დაიწყოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურის, ეკონომიკური და ქონების მართვის კომისიამ (გ. კუცია).

რეკომენდაცია მიღებულ იქნა ერთხმად.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს
სხდომის თავმჯდომარე: მ. კვიტაშვილი